
საპროექტო
ადგილი


+ 2700
+ 2.200
117
128
± 0.000
გარე ბლოკის დამცავი
ცხაური
დამზადებულია ლითონის
მილ-კვადრატებით


+ 2.700
117
128
55
+ 0.120
± 0.000

გეგმა ავეჯის განლაგებით

მ. 1:100

ვითიბი ბანკის რუსთაველის ფილიალი

რუსთაველის გამზირი №18




ქ.თბილისი


შ. რუსთაველის №18

არსებული მდგომარეობა

ხედი საპროექტო
ობიექტის კვანძზე




ჩრდილი საპროექტო
ობიექტის კვანძზე




რეკონსტრუქციის შემდეგ

ხედი საპროექტო
ობიექტის კვანძზე



ჩრდილი საპროექტო
ობიექტის კვანძზე



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5004372116

10/08/2016 წ.

5004372116

სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია,,-ს წარმომადგენელს ბატონ ბესარიონ გეწაძეს

(საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, ჭანტურიას ქუჩა,№14)

ბატონო ბესარიონ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2016 წლის 9 აგვისტოს რეგისტრაციის N1006155616) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N004751716 დასკვნას.
დანართი:
ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

ბათუმი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, მესხის ქ. N5
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
5 Meskhi str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

004751716

ექსპერტის დასკვნა № 004751716

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია„

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, ჭანტურიას ქუჩა„№14

სახელი და გვარი: ბესარიონ გეწაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

გიორგი კიკნაძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 7 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. ქ. თბილისში, რუსთაველის ქ. #18-ში საერთო საკუთრებაში არსებულ ეზოში განთავსებულია აგრეგატი. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ დაგვიდგინოთ ხმაურის დონის შესაბამისობა არა ერთ კონკრეტულ ბინასთან , არამედ ეზოსა და სხვა სათავსოებთან ჩვენს მიერ მითითებულ კონკრეტულ ადგილებზე და გასცეთ შესაბამისობის დამადასტურებელი დასკვნა.

შემოსვლის თარიღი: 09.08.2016წ. გასვლის თარიღი: 10.08.2016წ

დასკვნა

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N18-ში მდებარე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სთვის დამონტაჟებული გაგრილების სისტემის დანადგარის გარე ბლოკის ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურის დონე, მის მიმდებარედ განთავსებულ ოფისებთან და საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიასთან მიმართებაში არ აღემატება (ნაკლებია) 07 სთ-დან 23 სთ-მდე სანიტარული ნორმებით განსაზღვრულ ხმაურის დასაშვებ დონეებს (იხ. კვლევითი ნაწილი).

გიორგი კიკნაძე

გამოკვლევა

ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით 2016 წლის 10 აგვისტოს, ჩემს მიერ შემოწმებული იქნა ხმაურის დონე, რომელიც გამოწვეულია, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N18-ში მდებარე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სთვის დამონტაჟებული AERMEC-ის ფირმის გაგრილების სისტემის გარე ბლოკის ფუნქციონირებით.

გაზომვები ჩატარებული იქნა, ექსპერტიზის დამკვეთის წარმომადგენლის თანდასწრებით და უშუალო მითითებით გაგრილების სისტემის გარე ბლოკის მონტაჟის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე და პირველ სართულზე განთავსებულ ოფისებში, გაზომვების აღება განხორციელდა 10:15 სთ-დან 10:35 სთ-მდე პერიოდში.

004751716

ექსპერტის დასკვნა № 004751716

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სთვის დამონტაჟებული სამაცივრე დანადგარის გარე ბლოკის ფუნქციონირებით გამოწვეულმა ხმაურის დონემ, მის მიმდებარედ განთავსებულ ტურისტულ სააგენტოსა და სადარბაზოში შესასვლელთან მიმართებაში შეადგინა (LAmax) 53.3 დეციბელი, ხოლო ტურისტულ სააგენტოს ფართში შეადგინა (LAmax) 46.3 დეციბელი.

ასევე გაიზომა სანოტარო ბიუროს შესასვლელთან რა დროსაც სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სთვის დამონტაჟებული სამაცივრე დანადგარის გარე ბლოკის ფუნქციონირებით გამოწვეულმა ხმაურის დონემ სხვა გარემო ფაქტორებიდან მომდინარე ხმაურწარმომქნელ დანადგარებთან ერთად შეადგინა (LAmax) 48.4 დეციბელი, ხოლო სანოტარო ბიუროს ფართში ხმაურის დონე დაფიქსირდა (LAmax) 45.9 დეციბელი, რომელიც არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული დანადგარის ფუნქციონირებით გამოწვეულ ხმაურის დონეს, რადგან დანადგარის ხმაურს აჭარბებს სხვა გარემო ფაქტორებიდან მომდინარე ხმაურის დონეები.

ცხრილი 2, პუნქტი 2 -ის შესაბამისად, სამუშაო ადგილებში, სადაც სრულდება მაღალკვალიფიციური სამუშაო, რომელიც მოითხოვს ყურადღების დაძაბვას ან მიმდინარეობს ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობა ხმაურის დასაშვები დონე არ უნდა აღემატებოდეს 60 დეციბელს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის №297/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე" სანიტარული ნორმების ცხრილი №3, პუნქტი 9-ის შესაბამისად, ტერიტორიები რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება საცხოვრებელ სახლებს და ა.შ. ხმაურის დასაშვები დონე 07 სთ-დან 23 სთ-მდე შეადგენს 70 დბ. ხოლო როდესაც ხმაური გამოწვეულია ჰაერის კონდიცირების, საჰაერო გათბობის, ვენტილაციის სისტემით და სხვა საინჟინრო-ტექნოლოგიური მოწყობილობებით, მიღებულ უნდა იქნას 5 დბA-ით ნაკლები, ვიდრე მითითებულია ცხრილ №3-ში.

ამავე სანიტარული ნორმის ცხრილი 2, პუნქტი 2 -ის შესაბამისად, სამუშაო ადგილებში, სადაც სრულდება მაღალკვალიფიციური სამუშაო, რომელიც მოითხოვს ყურადღების დაძაბვას ან მიმდინარეობს ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობა ხმაურის დასაშვები დონე არ უნდა აღემატებოდეს 60 დეციბელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N18-ში მდებარე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სთვის დამონტაჟებული გაგრილების სისტემის დანადგარის გარე ბლოკის ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურის დონე, მის მიმდებარედ განთავსებულ ოფისებთან და საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიასთან მიმართებაში არ აღემატება (ნაკლებია) 07 სთ-დან 23 სთ-მდე სანიტარული ნორმებით განსაზღვრულ ხმაურის დასაშვებ დონეებს.

გიორგი კიკნაძე

გამოყენებული მასალები

ბგერის დონის მზომი - DT-8852.


ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4